



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №6/9

2017 წლის 27 თებერვალი
ქალაქი ფოთი

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების
გეგმის შესაბამისად, განხორციელებული შესყიდვების თაობაზე**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-ისა.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია